სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

29 ივლისი 2025

N 21/7377

სს „რუსთავოილს"

მის: ქ. თბილისი, ტ. შევჩენკოს ქ. N1 სადარბაზო N1, სართული 1, ოფისი N4ა
ელ. ფოსტა: Info.rustavoil@gmail.com
makich62@mail.ru
ასლი: სსიპ გარემოსდაცვით ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა თქვენი 30.04.2025 წ. N4264 განცხადება, რომლითაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილია სს „რუსთავოილის" 1000 $მ^3$-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შემდგომ - გზშ-ის ანგარიში) და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის დანართი 3.1.-ში და დანართი 3.2-ში ასახული ინფორმაცია დაგეგმილი და არსებული ობიექტის/ობიექტების შესახებ საჭიროებს დაზუსტებას, მათ შორის დასაზუსტებელია ორთქლის და ზეთის სარეზერვო საქვაბე (გენ-გეგმაზე N39 მოცემულია როგორც „დაგეგმილი"), ასევე, მყარი ბიტუმის 2 ცალი რეზერვუარი (1000 $მ^3$ მოცულობის ბიტუმის შესანახი 4 რეზერვუარის მიმდებარედ), რაც არ არის ასახული არც გენ-გეგმაზე და არც ელექტრონულ Shp ფაილებში. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში (დანართი 3.2 და 3.1) წარმოდგენილი ინფორმაციისა და ელექტრონული Shp ფაილების მიხედვით, ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარების რაოდენობა შეადგენს 10 ცალს, რაც დაზუსტებას საჭიროებს, კერძოდ არსებული რეზერვუარების რაოდენობაა 10, თუ ჯამში 12 ცალი. გარდა ამისა, ე.წ „ზეთების ჩამოსასხმელი საავტომობილო ესტაკადა" გზშ-ის ანგარიშში (დანართი 3.2) მითითებულია როგორც არსებული და არა როგორც დაგეგმილი ობიექტი. ასევე, Shp ფაილების მიხედვით, სახანძრო სატუმბ სადგურს მინიჭებული აქვს „საპროექტო შენობის" სტატუსი, თუმცა გზშ-ის ანგარიშში (დანართი 3.2) მითითებულია როგორც არსებული. შესაბამისად, დასაზუსტებელია არსებული და დაგეგმილი რეზერვუარების/ობიექტების შესახებ ინფორმაცია, რაც ასევე თანხვედრაში უნდა იყოს ელექტრონულ Shp ფაილებთან;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიშში დაზუსტებას და დასაბუთებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების, მათ შორის, ბიტუმის შუალედური

რეზერვუარების კონსტრუქციის ჰერმეტულობის, ასევე, საწარმოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ტუმბოების განთავსების უბნებზე შუალედური ნავთობდამჭერების/შემკრებების არსებობის და საბოლოო ნავთობსეპარატორის ჰერმეტულობის საკითხები.

- ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიტუმის წარმოების ტექნოლოგიაში დაგეგმილია ერთი სარექტიფიკაციო კოლონის და სამი დაჟანგვის ბლოკის მოწყობა, თუმცა არ არის მითითებული ინფორმაცია აღნიშნული დანადგარების წარმადობების და ეფექტიანობის შესახებ, რაც უნდა დაზუსტდეს. დამატებით, დასაზუსტებელია (სათანადო ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით) ერთდროულად რამდენიმე რეზერვუარის შევსებისას გაფრქვევათა რაოდენობრივ ანგარიშში შესაბამისი ტუმბოების წარმადობის სიდიდის შემცირების/გაყოფის ფაქტორი;
- დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) პროექტში გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია რეკუპერაციის დანადგარის საპასპორტო მონაცემების შესახებ. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია იმ წყაროების შესახებ, რომლებიც გაერთიანებულია რეკუპერაციის დანადგარის ქვეშ, გზშ-ის ანგარიშით რეკუპერაციის დანადგარში გაერთიანებულია რეზერვუარები, ავტოცისტერნები და ტუმბოები. (მიზანშეწონილია არსებული ინფორმაცია ასახული იყოს შესაბამისი ფოტო-მასალით);
- ზდგ-ს ნორმების პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით ბენზინის ორთქლში შემავალი მავნე ნივთიერებათა %-ლი შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება არსებული სახელმძღვანელოს მიერ მითითებულ მონაცებებს (დანართი 14);
- დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა დაანგარიშებული რაოდენობები, მეთოდური სახელმძღვანელოს მითითებით. ასევე, დასაზუსტებელია ინფორმაცია გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების და კოორდინატების შესახებ;
- დოკუმენტებში, მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში გამოყენებული ფონური მაჩვენებლების სიდიდეები არ შეესაბამება ქ. რუსთავის მოსახლეობის რაოდენობას და შესაბამისად, სათანადო შესწორებას საჭიროებს;
- ზდგ ნორმების პროექტში შესწორებას/სრულყოფას და დოკუმენტის სხვა თავებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს ცხრილში - „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები“ (დანართი 3) მოყვანილი ინფორმაცია. ამასთან, დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის, გაბნევის ანგარიშში ნაჯერი ნახშირწყალბადების C_6-C_{10} ფრაქცია მოხსენებულია „აარონ“-ის სახელწოდებით, რაც გასასწორებელია. ზდგ ნორმების პროექტის მე-4 დანართი არ არის გაფორმებული საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №408 დადგენილებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, მასში არ არის მოცემული გამოყოფის წყაროების რაოდენობა გაფრქვევის გ-1, გ-42, გ-43, გ-44, გ-45, გ-46 და გ-47 წყაროებისთვის. ამასთან, დოკუმენტებში აღწერილი ტექნოლოგიური პროცესებიდან ადგილი არ აქვს მეთანის გამოყოფას და გაფრქვევას, თუმცა აღნიშნული მავნე ნივთიერება მითითებულია

ზდგ ნორმების პროექტის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის, მე-7, მე-9 და მე-10 დანართებსა და 8.1 ცხრილში. აღნიშნული გარემოება საჭიროებს სათანადოდ განმარტებას და შესწორებას;

- ატმოსფერულ ჰაერის საკითხებთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული და ასახული ავტომატიზებულ კომპიუტერულ პროგრამაში, საკონტროლო წერტილებში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობების დადგენის მიზნით;
- გადამუშავებულ ზდგ-ს ნორმების პროექტში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციასთან და ანალოგიურად უნდა დაზუსტდეს და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი საკითხები;
- დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია 26/11/2018 წ. N 2-949 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით („სს „რუსთავოილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს (სარეზერვუარო პარკი ნედლეულის და პროდუქციისათვის - 19 560 $м^3$ მოცულობით) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“) განსაზღვრული პირობების და ასევე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში (ცხრილი 1.2) არ არის მითითებული ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ნაწილის მომზადებაში მონაწილე პირის შესახებ, რაც დაზუსტებას საჭიროებს;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის (ს/კ 02.07.02.897) საკადასტრო საზღვრიდან 510 მეტრის დაშორებით მდებარეობს სს ,,რუსთავის აზოტი“ (ს/კ 02.07.01.887), თუმცა, ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საკადასტრო საზღვრებს შორის მანძილი შეადგენს 470 მეტრს, რაც საჭიროებს დაზუსტებას და საჭიროების შემთხვევაში, კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში გათვალისწინებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ წინამდებარე შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების მიხედვით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე. აქვე გთხოვთ, აღნიშნული შენიშვნების/მოსაზრებების შესახებ საპასუხო ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოადგინოთ შესაბამისი ცხრილის სახით.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7377-21-2-202507291601

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE